პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 88 (4082)

6

1970 წ. მაისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **ვარშავა**, 4 მაისი. რვა ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა აქ დაწყებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საკმაოდ მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. გ. აიზენბერგმა (გდრ) 10 კმ 28 წუთსა და 43,8 წამში გაირბინა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში. ფინიშთან მეორე იყო პოლონელი ე. მლეჩკო (28.49,4), III ადგილი კი დაიკავა ინგლისელმა ჯ. კეინმა — 28.51,0. იტალიელმა პაოლა პინიმ ყველას აჯობა 1500 მეტრზე რბენაში — 4.19,0. მას 2 წამით ჩამორჩა გ. ჰოფმაისტერი (გდრ). პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა ლ. ხევინსკამ — მისი ბირთვი 16,74 მეტრზე დაეცა. უნდა აღინიშნოს, რომ ხევინსკა პირველი პოლონელი ბირთვის მკვრელი ქალია, რომელიც დიდოსტატურ ზღვარს — 17 მეტრს მიუახლოვდა. პოლონური მძლეოსნობის ვეტერანმა ი. სიდლომ 82,34 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში.

● **სესტო-სან-ჯოვანი**, 4 მაისი. იტალიის ამ პატარა ქალაქის მახლობლად გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ სიარულში. წარმატებით იასპარეზეს გდრ-ის მძლეოსნებმა, რომლებმაც ყველა საპრიზო ადგილი დაიკავეს. 30-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა პ. ზელცერმა — 2:26.49, II ადგილზეა ლ. ჰიონე — 2:28.02, III — გ. შპერლინგი — 2:28.31. შეჯიბრებაში თერთმეტი ქვეყნის 46 სპორტსმენმა აიღო სტარტი, მაგრამ 10 ბრძოლას გამოეთიშა.

● **ბარსელონა**, 4 მაისი. ესპანეთისა და ნორვეგიის მძლეოსანთა აქ გამართულ მატჩში 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგები იქნა ნაჩვენები. გაიმარჯვა ესპანელმა ხ. ალვარესმა — 8.41,2, მეორე იყო ნორვეგიელი ენგენი — 8.41,8. მასპინძლებმა კიდევ რამდენიმე კარგ შედეგს მიაღწიეს: ლ. გარიგამ 210 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, რ. ბლანკერი 774 სანტიმეტრზე გადახტა (ჯერჯერობით ეს ყველაზე გრძელი ნახტომია წლეულს ევროპაში), ა. სალგადომ კი 5 კმ 13 წუთსა და 54,4 წამში გაირბინა.

საქართველოს მძლეოსნებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყეს: გამართეს საგაზაფხულო რესპუბლიკური ტურნირი, შეკრებაზე იყვნენ ლესელიძეში, ამას წინათ კი „ლოკომოტივის" სტადიონზე თბილისის თასისთვის იბრძოდნენ. შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ რესპუბლიკის ნაკრების წევრები — პირველთანრიგოსანი ლ. კორკოტაძე და სპორტის ოსტატი ი. კოზელსკი, რომლებმაც პირველობა დაიპაკუთრეს: კორკოტაძემ 400 მეტრზე რბენაში იმარჯვა, კოზელსკიმ კი ამავე დისტანციაზე თარჯრბენში.



სურათებზე: მარჯვნივ — ლ. კორკოტაძე ფინიშთან; მარცხნივ — ი. კოზელსკი თარჯრბენში ასპარეზობის დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.



აჭარის დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა საკავშირო შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში ეურნალ „პოჟარნოე დელოს" პრიზზე. ტურნირი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

ასეთი მასშტაბის ასპარეზობა ბათუმში პირველად მოეწყო. სარბიელზე საბჭოთა კავშირის უძლიერესი მეხანძრე-სპორტსმენები გამოვიდნენ და გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც ბათუმელმა სპორტის მოყვარულებმა გამოიჩინეს ამ შეჯიბრებისადმი.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტი მკვეთრად განსხვავდება სხვა სახეობებისგან თუნდაც იმით, რომ მონაწილეს აქ საბრძოლო ტანსაცმელი და ჩექმები აცვია, თავზე კი ლითონის ჩაჩქანი ახურავს. ტანსაცმლის საერთო წონა 4 კილოგრამს აღწევს.



შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლების 24 ნაკრები გუნდი ჩაება.

პირველ დღეს სპორტსმენები დაბრკოლებათა ასმეტრიანი ზოლის გადალახვაში ასპარეზობდნენ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ და ამ სახეობის შემდეგ VII ადგილზე იყვნენ. ლიდერობა ხელთ იგდეს ლვოვის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის კურსანტებმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ამ სასწავლებლის პედაგოგმა, სპორტის ოსტატმა ვ. ელეუზკომ — 18,6 წამი. II ადგილზეა კ. პუცილო (უზბეკეთი) — 18,7 წამი, III — ა. ნოვიკოვი (უკრაინა) — 18,9.

შეჯიბრების მეორე დღე საიერიშო კიბით სასწავლო კოშკურის მეოთხე სართულზე ასვლაში II ადგილზე გასულიყო. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ნ. ალიმხანოვმა — 15,7 წამი. სპორტის საპატიო ოსტატი ა. ჭაბუკიანი გამარჯვებულს მეათედი წამით ჩამორჩა. III ადგილი ხვდა სვერდლოვსკის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენს ვ. საპრინენკოს.

ცხარე ბრძოლა გაიმართა სახანძრო ესტაფეტაში. ამ სახეობაში განსაკუთრებით ძნელია ვარცლში გაჩაღებული ცეცხლის ჩაქრობა. იკარგება ძვირფასი წამები. საქართველოს ნაკრები სახანძრო ესტაფეტაში სსრ კავშირის რეკორდსმენია (1.09,1) და ამიტომ მათგან წარმატებას ველოდით. მაგრამ პირიქით მოხდა — მასპინძლები ამჯერად სამეულშიც კი ვერ მოხვდნენ — 1.15,5. გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა (ა. სეხი, გ. გორჩენკო, ნ. ალიმხანოვი და ვ. კიპკო) — 1.12,6. II ადგილზეა ლენინგრადის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის გუნდი — 1.13,9, III — ლვოვის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლები.

საერთო I ადგილი რუსეთის ფედერაციის მეხანძრეებმა მოიპოვეს. II ადგილზე არიან საქართველოს, III — სვერდლოვსკის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის გუნდები.

გამარჯვებულებისთვის კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა, დოსაფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ქალაქის საწარმო-დაწესებულებებმა დააწესეს სპეციალური პრიზები, გადასცეს მათ სამახსოვრო საჩუქრები.

ლ. ᲥᲐᲕᲨᲕᲐᲠᲐᲫᲔ.

ბათუმი.

სურათებზე: მარცხნივ — საიერიშო კიბით სასწავლო კოშკურის მეოთხე სართულის ფანჯარაში ასვლის მომენტი; მარჯვნივ — დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა.

ა. ჩანტლაძის ფოტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რესპუბლიკის მშრომელების კომუნისტურ აღზრდასა და სოფლის მეურნეობის წარმოების აღმავლობისთვის ბრძოლაში დამსახურებისთვის, დაარსების ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „სოფლის ცხოვრება" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲞᲐᲫᲔ.

თბილისი, 1970 წლის 30 აპრილი.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ცხაკაიაში ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა II რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ასპარეზობა კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ჭაბუკთა და გოგონათა 24 გუნდმა.

მოასპარეზენი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ რესპუბლიკის საშუალო, მეორეში კი 8-წლიანი სკოლა-ინტერნატების გუნდები.

გოგონათა შორის პირველ ჯგუფში წარმატებით იასპარეზა დუშეთის გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბოლნელეს სკოლა-ინტერნატის კოლექტივი — 32:18. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ბოდბელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. მათ მაფარ ბრძოლაში დაამარცხეს ყველა მეტოქე და გარდამავალი თასიც მოიპოვეს.

საშუალო სკოლა-ინტერნატების ჭაბუკთა ფინალში ერომანეთს შეხვდნენ წულუკიძისა და ცხაკაიას გუნდები. გაიმარჯვეს წულუკიძელებმა — 26:18.

Ე. ᲒᲣᲒᲣᲜᲐᲕᲐ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

ცხაკაია.

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

აჭარის სპორტსმენებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს ვარსკვლავისებური ველოსტაფეტა მარშრუტით ბათუმი — სამტრედია — ბათუმი.

ესტაფეტა ბათუმის ქუჩებში საზეიმო სვლით დაიწყო. შემდეგ სპორტსმენები ქობულეთისკენ გაეშურნენ. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე სპორტის ოსტატმა ო. ნიშნიანიძემ გადაკვეთა. გუნდური I ადგილი ბათუმის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა მოიპოვეს.

შემდეგ ველოსიპედისტებმა გეზი სამტრედიისკენ აიღეს, სადაც ადგილობრივმა ფიზკულტურელებმა ესტაფეტის მონაწილეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. მეორე დღეს ბათუმელი სპორტსმენები მშობლიური ქალაქისკენ გამობრუნდნენ.

Ო. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

ბათუმი.

ᲛᲔᲮᲐᲜᲫᲠᲔᲗᲐ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის დამთავრების 25 წლისთავისთვის



სამამულო ომამდე ფეხბურთის მოყვარულთა შორის თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდი მეტად პოპულარული იყო. საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა ამ გუნდის მკვირცხლი მეკარე ილია ჩხიკვიშვილი. ომის დაწყების შემდეგ ი. ჩხიკვიშვილი მოქმედ არმიაში გაიწვიეს, იგი უირიმის ფრონტზე მოხვდა და შინ აღარ დაბრუნებულა.

კონსტანცის ნავსადგურს ქართველი ტურისტებით სავსე უზარმაზარი ლაინერი „ივან ფრანკო“ მიადგა. რუმინეთის ამ დიდი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ ტურისტები თანამედროვე ზღვისპირა კურორტ ეფორიანორდს ეწვივნენ.

მეორე დღეს საქართველოდან ჩასულნი ავტობუსებით ბუქარესტში გაემგზავრნენ. შუა გზაზე, სლობოძიასთან, ავტობუსიდან ექიმები ევგენია ჩხიკვიშვილი და თინათინ გოგორიშვილი გადმოვიდნენ. მანქანამ გზა გაგრძელა. ჩამოსულებმა გეზი ეკლესიისკენ აიღეს. ეზოში შევიდნენ, საფლავებზე გაკეთებულ წარწერებს კითხულობდნენ. უცხო ადამიანები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეამჩნიეს და თანდათან მათს გარშემო შეიკრიბნენ.

ერთმანეთისა არა ესმოდათ რა, ნიშნებითაც ვერ გააგებინეს, რა სურდათ.

— ლაგერ, პლენ, ბრატ კაპუტ! — შეეცადა მოსულთაგან ერთი რაიმე ენიშნებინა რუმინელებისთვის.

მასპინძლებმა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, სადღაც ბავშვი აფრინეს და მოსულთ ანიშნეს, ეზოში, ხის ქვეშ, სკამზე დაბრძანდითო.

მალე ერთი წელში მოხრილი მოხუცი მოვიდა, სტუმრებს შეხედა და რუსულად ჰკითხა, რისთვის გარჯილხართო.

— თქვენში, სლობოძიაში, საბჭოთა ტყვე ოფიცრების ბანაკი იყო 1942 წელს. ამ ბანაკში გარდაცვლილა ჩემი ძმა. ტყვედ ნამყოფებმა მითხრეს, რომ იგი აქ სასაფლაოზე დაუმარხავთ, — მიუგო მას ევგენია ჩხიკვიშვილმა.

ტყვეთა ბანაკის ხსენებაზე მოხუცმა ხელები ზეციისკენ აღაპყრო და აკანკალებული ხმით თქვა:

— მახსოვს, მახსოვს... ო, ღმერთო, რატომ დაუშვი, რომ შენი შექმნილი ადამიანები მსეცურად სპობდნენ დავრდომილთ... აქ, სადგურის გადაღმა, უზარმაზარი ყორღანებივითა დგას ავადმყოფობითა და შიმშილით დახოცილი საბჭოთა ტყვეების საფლავები. რა გითხრეს, როდის გარდაიცვალაო თქვენი ძმა?

სტუმარმა მოკლედ უამბო, რაც იცოდა.

... ილია ჩხიკვიშვილმა წარჩინებით დამთავრა მეთაურთა სკოლა. ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და მოქმედ არმიაში გაგზავნეს. 1942 წლის მაისში ყირიმის ფრონტზე იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

დაიკარგა, მაგრამ ადამიანის კვალი არ შეიძლება გაქრეს და თუ გულმოდგინედ ეძებ, იპოვნი კიდეც.

... 1942 წლის 3 მაისს მეთაურთა სკოლის კურსდამთავრებულები ქერჩში ჩავიდნენ. ისინი ნაწილებში დანიშნულიც არ იყვნენ. როცა ყირიმის ფრონტზე გერმანელებმა დიდი შეტევები დაიწყეს, ჩვენი ჯარის თავდაცვის ხაზი ვაარღვიეს და ღრმად შემოიჭრნენ ქერჩის ნახევარკუნძულზე. ვიღას ეცალა მეთაურებისთვის. მათ იარაღიც კი არ ჰქონდათ, მტერს რომ შებმოდნენ.

როცა ბრძოლებმა ქალაქ ქერჩს მიატანა, ახალგაზრდა მეთაურებმა დახოცილებს იარაღი აიღეს და მტერს ეკვეთნენ.

ილია ჩხიკვიშვილი სახელდახელოდ თავმოყრილ ოცდაათ მებრძოლთან ერთად აზოვის ზღვის პირად პატარა კლდეზე გამაგრდა და მოწინააღმდეგეს გადაეღობა. მტრის ბევრი იერიში მოიგერიეს ჩვენმა მებრძოლებმა. მათი ჩასაფრების წინ მინდორი ფაშისტთა გვამებით მოიფინა.

მტერს ანადგურებდნენ, მაგრამ ჩვენებიც დიდ დანაკლისს განიცდიდნენ. საღამოსთვის სამნიღა დარჩნენ. ილია ჩხიკვიშვილი მკლავში დაიჭრა, ხოლო მის ორ ამხანაგს კონტუზია ჰქონდა. მებრძოლთ ტყვია-წამალი გუთავდათ და წინააღმდეგობის თავიც აღარ ჰქონდათ.

ღამით სამივე მტერმა იგდო ხელთ.

... დაიწყო ტყვეობის საშინელი დღეები: შიმშილი, ავადმყოფობა, მსეცური მოპყრობა, აბუჩად აგდება, ავადმყოფთა დაუნდობელი ჟლეტა.

რა დაავიწყებთ ტყვედქმნილ საბჭოთა მეომრებს მარფოვკის, ფეოდოსიის, ისლამ-ტერეკის, ჯანკოის, ხერსონის, ნიკოლაევის სასიკვდილო ბანაკებში ნანახ და განცდილ საშინელებას!

ბოლოს — რუმინეთის სამეფო ჯალათ ანტონესკუს ხელისუფლების საკონცენტრაციო ბანაკები ინტენსივდენცაში, გალაცის მახლობლად და დაბა სლობოძიაში.

საბჭოთა ტყვეებს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წაართვეს, ნაცვლად კი რაღაც ძონძები გადმოუყარეს. შემდეგ ოფიცრები გადაარჩიეს და ცალკე, სასტიკად იზოლირებულ შენობებში მოათავსეს.

ზამთარი კარს იყო მომდგარი, ფაშისტები კი ტყვეებს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს არ აძლევდნენ. სიშიშვლეს ზედ ერთვოდა შიმშილი, შიმშილს — ავადმყოფობა. ყოველდღე სუთი-ექვსი ცხედარი გაჰქონდათ ბანაკიდან და ადგილობრივ სასაფლაოზე მარხავდნენ.

დეკემბრის მეორე ნახევარში, ხშირი წვიმების შემდეგ, სლობოძიაზე თოვლიანმა ქარიშხალმა გადაიარა. მიწა ყინულმა დაფარა, ლოლუებით დამძიმებული ხეების ტოტები გულშემზარავად იმსხვრეოდნენ...

სწორედ ამ დროს ორმა მოვლენამ დაარღვია ბანაკის ცხოვრების მდინარება. დაიჭირეს გაქცეული რვა საბჭოთა ტყვე. შიშვლებმა და დაუძლურებულმა სიარული ვერ შეძლეს, ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთ სთხოვეს დახმარება. საიდუმლო ვიღაცამ გასცა და ლტოლვილნი დააპატიმრეს. ეს მოხდა ღამით, დილით კი, 18 დეკემბერს, „ურჯულო ბოლშევიკების სწორ გზაზე დასაყენებლად“ ბანაკს რუსი ემიგრანტი მღვდელი ესტუმრა.

დილიდანვე ბარაკებში ხელკეტებით შეიარაღებული ჟანდარმები შეცვივდნენ, ტყვეები ყინვაში გამორეკეს და მოედანზე მოუყარეს თავი. ტყვეებს ხის ქოშები ეცვათ. რომ არ დაყინულიყვნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, გასათბობად ერთმანეთს ეკვროდნენ.

ილია ჩხიკვიშვილი და ხუთი სხვა ავადმყოფი ჟანდარმებმა არ შეიბრალეს და ყინვაში გამოყარეს. უქუდო, ხალათისამარა, სიცხიანი ილია ყინვას ჯერ ვერ გრძნობდა, მერე კი კანკალი აუვარდა.

ამასობაში მოედანზე თავისი ამალით ბანაკის კომენდანტი, მაიორი მუჩენიკი გამოცხადდა. მას ერთი წიოლეწვერა, ჩასუქებული კაცი ახლდა. მუჩენიკმა თარჯიმნის საშუალებით გამოაცხადა:

— ბანაკიდან ტყვეები გაიქცნენ და შვიპაყარით. მსგავსი რამ დანარჩენებმაც რომ არ გაბედონ, ახლა გაყურებინეთ მათს სეირს.

ჟანდარმებმა მოედანზე მათრახის ცემით შემორეკეს რვა დედიშობილა ტყვე. ყვირილით მიერეკებოდნენ, უკან მისდევდნენ და დაუნდობლად ურტყამდნენ შოლტებს. პატიმრებს კანი დაფსკდათ ტანზე, სისხლი სდიოდათ.

ბოლოს შიშველი ტყვეები ღონემიხდილნი მიწაზე დაცვივდნენ და ჟანდარმებმა გაათრიეს.

— ახლა მოუსმინეთ თქვენს თანამემამულე ღვთის მსახურს, — გამოუცხადეს ტყვეებს.

შუა მოედანზე მაგიდა დადგეს. მაგიდაზე ქურქსა და თბილ ქუდში გამოწყობილი მღვდელი ავიდა და ქადაგება დაიწყო. რუმინელ ჟანდარმებს მალე მოსწყინდათ მათთვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე მღვდლის მოსმენა და წავიდ-წამოვიდნენ.

იმ ღამეს ყინვისგან გათოშილი ორმოცდაათზე მეტი საბჭოთა ტყვე მიაჯაჭვა სარეცელს ავადმყოფობამ. ილია ჩხიკვიშვილი და სამი სხვა საბჭოთა ტყვე ოფიცერი კი 19 დეკემბერს დილით გარდაიცვალნენ. 20 დეკემბერს ისინი, როგორც ოფიცრები, სლობოძიის მართლმადიდებელთა ეკლესიის ეზოში დამარხეს...

... და აი, ოცდაშვიდი წლის შემდეგ ევგენია ჩხიკვიშვილი სლობოძიაშია.

— აქ არც ერთი საბჭოთა მეომრის საფლავი არ არის, — განუცხადა მოხუცმა. — როგორც მახსოვს, ისინი 1944 წლის შემდგომით ქალაქ კალარაშში გადაასვენეს.

„სად არის ეს კალარაში? როგორ მივადწიო იქამდე? თუ დამაგვიანდა, ბუქარესტიდან უკან დაბრუნებულ ტურისტების ავტობუსს ჩამოვრჩებით, გეში გაგვასწრებს“, — ფიქრობს ევგენია. რა ქნას, როგორ მოიქცეს?

— კალარაში აქედან ორმოცი კილომეტრითაა დაცილებული, — უუბნება მოხუცი. — უგამყოლოდ ნუ წახვალთ.

მოქალაქეთა ჯგუფს მაღალი რუმინელი—სლობოძიის სკოლის მასწავლებელი გამოეყო და სტუმრებს უთხრა:

— ჩვენს სოფელში მცხოვრებ რუს გოგონას გაგაყოლებთ მეგზურად. ტრანსპორტი? ვიშოვნით. აქ ტაქსები მოძრაობენ, წაგიყვანენ.

ევგენია ჩხიკვიშვილს და თინათინ გოგორიშვილს სლობოძიის ლიცეუმის XI კლასის მოსწავლე ანელა პრეკვალსკაია გააცნეს. უთხრეს, ეს იქნება თქვენი მეგზური და თარჯიმანი. ანელას თან უმცროსი ძმა წამოეყვანა.

... აი, კალარაშის სასაფლაოც. იქვე, სკოლაა, ბავშვების ერიამული ისმის. ყველა საფლავზე ქვა დგას წარწერით. სტუმრებს უთხრეს, აქ ექვსასზე მეტი საბჭოთა მეომარი განისვენებსო.

ევგენია აღელვებული მიჰყვება საფლავთა პირველ მწკრივს, ამოწმებს წარწერებს. აი, მეოთხე საფლავი. „ილია ჩხიკვიშვილი, 1942 წლის დეკემბერი“. ის არის. იპოვნა დამ ძმის საფლავი, დაიჩოქა მის წინ, მიწაზე დაემხო და აკვითინდა.

საფლავის გარშემო ხალხი შეიკრიბა.

ევგენიამ ძმის საფლავზე დედ-მამის საფლავიდან აღებული ქართული მიწა მიმოაბნია.

შეკრებილებმა ქართული ღვინით დალიეს სამშობლოდან დამორებით დაკარგული ვაჟაცის ილია ჩხიკვიშვილის მესანდობარი.

იმავე სასაფლაოზე ნახეს კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულის საფლავი წარწერით: „ვიორგი ვაშაკიძე. 1892-IV-1942“.

ვ. სიხარულიძე.

* * *

სურათებზე: ზევით — აი, ასეთი იყო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის მეკარე ი. ჩხიკვიშვილი; ქვევით — ე. ჩხიკვიშვილი თავისი ძმის საფლავთან.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

„საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. 17 მონაწილეს შორის პირველობა მოიპოვა ს. სულიმანოვმა.

ნ. ღამბაშიძე,
ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

აქ გაიმართა აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთელ ვაჟთა შორის. ოთხდღიანი ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ სოხუმის რაიონისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვა სოხუმის რაიონის ნაკრებმა — 24:14. III ადგილი წილად ხვდათ გალის რაიონის ხელბურთელებს.

გ. იაშვილი.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

აქ გაიმართა მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა“ და ახალციხის ნაკრებ გუნდებს შორის. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ—8:2. თავი გაშოიჩინეს ნ. პეტოევმა, ა. ვალიევმა, კ. ზასეევმა, გ. კაჩმაზოვმა, უ. გასიევმა, ა. კულუმბეკოვმა, ვ. ქელესაევმა, ბ. გასიევმა (ყველა — ცხინვალი), ს. გათიკაშვილმა და ე. გელაზარიშვილმა (ორივე — ახალციხე).

* * *

„ოქროს თავთავის“ თასის გათამაშებაში ცხინვალის რაიონის ფეხბურთელთა 8 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში დამინისელებმა დაამარცხეს არცევის ნაკრები (1:0) და თასიც დაისაკუთრეს.

* * *

გაიმართა ჭაბუკთა საქალაქო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრება ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფად. უმცროსი ასაკის ჯგუფში, სადაც 83 ნორჩი გამოდიოდა, საუკეთესონი იყვნენ გ. გაზაევი, გ. ბეკოევი, ნ. ლალიევი, ე. გუჩმაზოვი, ნ. დოგუზოვი, რ. ალბიროვი, ე. ჯიკაევი და ა. ურთქმელიძე. მოზარდთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ვ. ქუმარიტოვმა, ნ. ბესთაევმა, ბ. ჯიოევმა, გ. გაგიევმა, ვ. ბეთეევმა, ა. კაბულოვმა, რ. ვალიევმა და თ. ჯიკაევმა.

ვ. ᲛᲔᲚᲥᲝᲔᲕᲘ.

ᲒᲝᲠᲘ

რაიონის აქტივმა გადაწყვიტა ნაჭარმაგევში მოაწყოს ფეხბურთის სტადიონი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდები დამკვრელური წესით აშენებენ ახალ ბაზას. ამჟამად მიწის სამუშაოები თითქმის დამთავრებულია. მალე შეუდგებიან ბალახოვანი ბელტების დაწყობას. მომავლისთვის განზრახულია აქვე მოეწყოს ქალთბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები და საცურაო აუზი.

ი. თევდორაშვილი.

ᲮᲝᲒᲘ

ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ქალთბურთში. კარგად იასპარეზეს მესამეკურსელებმა, რომლებმაც I ადგილი დაიკავეს.

დ. ᲒᲣᲙᲘᲐ.

ᲝᲜᲘ

რაიონის საგაზაფხულო მძლეოსნურ კროსში საწარმოდაწესებულებებს შორის იმარჯვა ონის მე-10 სამკერვალო ფაბრიკის გუნდმა. საშუალო სკოლების კოლექტივებს შორის ყველას აჯობეს ქვაშხიეთელმა მოსწავლეებმა. პირად შეჯიბრებაში 2 კილომეტრზე რბენა მოიგო თ. ჯოხაძემ (სამკერვალო ფაბრიკა). 1 კილომეტრზე რბენაში საუკეთესო გახლდათ ჯ. ჯოხაძე (ონის მე-2 სკოლა). 500 მეტრზე მორბენალი გოგონებიდან ფინიშთან პირველი მიიჭრა დ. გოგრიჭიანი (ონის მე-2 სკოლა).

დ. ᲮᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲔᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲒᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲒᲘᲗ

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ამ სისტემის ტექნიკუმების რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 26 კოლექტივის 200-მდე ათლეტი, მათ შორის, 5 სპორტის ოსტატი და 31 პირველთანრიგოსანი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. გოგიაშვილი (თელავი), ვ. ფალელაშვილი (გორი), თ. გუგავა (დიდი ჯიხაიში), გ. ლაფერაშვილი, ა. შეშაბერიძე (ორივე — წულუკიძე), შ. ქუმარიტოვი (ახალციხე), ჯ. წიქარიძე (ლანჩხუთი), ჯ. ნიქარაძე (დიდი ჯიხაიში).

საგანგებო პრიზები მოიპოვეს გუგავამ, ნიქარაძემ, შეშაბერიძემ, ლაფერაშვილმა, გოგიაშვილმა, ა. დემეტრაშვილმა (წულუკიძე), ს. ჯინორიძემ (დუშეთი), ვ. ბეინაშვილმა (ცხინვალი).

გუნდურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო II და III ადგილებზე გასულ წულუკიძისა და თელავის გუნდებს.

ჯ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

დიდი ჯიხაიში,
სამტრედიის რაიონი.

შაშხანების ქუხილი შეწყდა

ავჭალის სასროლეთზე შეწყდა სსრ კავშირის რვა უძლიერესი გუნდის წევრთა შაშხანების ქუხილი. ბოლო ვარჯიშებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრიდან სტანდარტზე (3×20) სროლა და მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლა (8,6 და 4-წამიანი სერიები).

ნებისმიერი შაშხანით წოლეტა სროლაში უკრაინელებმა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ს. კუდერსკიმ და სპორტის ოსტატმა ა. ჩუბკომ 200-დან ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს. მათ 2-2 ქულით ჩამორჩა 6 სპორტსმენი, რომელთა შორის მასპინძელი ვ. ახალაძეც იყო. დგომეტა სროლაში ყველას აჯობა ტოკიოს ოლიმპიადის მეოთხე პრიზიორმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კ. გერასიმოვნოკმა (ლენინგრადი). მან 194 ქულა მოაგროვა და ორი მდგომარეობიდან სროლის ჯამში დაწინაურდა. ჩოქეტა სროლაში ჩუბკომ და მისმა თანაგუნდელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. იაროშენკომ, აგრეთვე, მოსკოველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. კონიახინმა 200-დან მხოლოდ 5-5 ქულა დაკარგეს. მაგრამ, როცა სამივე მდგომარეობის მაჩვენებლები შეჯამდა, გამოირკვა, რომ გამარჯვება გერასიმოვნოკს მოეპოვებინა. მან სამივე მდგომარეობით ერთნაირი შედეგები (194-194 ქულა) აჩვენა და 582 ქულის მოგროვება შეძლო. II ადგილზეა ჩუბკო — 576, III — კუდერსკი — 575. ახალაძე 564 ქულით XVIII ადგილით დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება სილუეტებზე სწრაფსროლას, ამ ვარჯიშში გუნდებს მხოლოდ I-IV ადგილებზე გასული სპორტსმენები აძლევდნენ ჩათვლას. ცეცხლის ხაზზე 32 სპორტსმენი გავიდა. ჩვენი რესპუბლიკის მსროლელებიდან ბრძოლაში ჩაებნენ სპორტის ოსტატები მ. ჟამურაშვილი, კ. ფოტიევი და ს. სტრეკალოვი. მეტოქენი დაწყვილდნენ და შეჯიბრება მეთექვსმეტედფინალში დაიწყეს. აქ ფოტიევი კენჭისყრამ მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს გ. კოსიხს (მოსკოვი) შეასვედრა. გამოცდილებამ თავისი გაიტანა — ფოტიევი ტურნირს გამოეთიშა. სტრეკალოვმა მოუგო სპორტის ოსტატ ვ. ჩიჩკოვს (რსფსრ), ჟამურაშვილმა — სპორტის ოსტატ ი. მეერზონს (ლენინგრადი).

მერვედფინალში სტრეკალოვი ასპარეზობას გამოეთიშა, ხოლო ჟამურაშვილმა დაამარცხა ა. სპივაკოვი (აზერბაიჯანი).

მეოთხედფინალში ჟამურაშვილმა ისევ იმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. I-IV ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა ი. ალიოხინმა, ნ. კასიცამ (ორივე — მოსკოვი) და სპორტის ოსტატმა ა. კუზმინმა (ლატვია). მათ შორის შეჯიბრება წრიული სისტემით მოეწყო. ჟამურაშვილმა ალიოხინს მოუგო, ხოლო კუზმინთან მოუოდნელად დამარცხდა, როცა სულ ახლოს იყო გამარჯვებასთან. ბოლოს მან კასიცასთანაც წააგო და IV ადგილს დასჯერდა. პირველობა კასიცას დარჩა. II ადგილზეა კუზმინი.

შეჯიბრების შემდეგ ვესაუბრეთ სსრ კავშირის ტყვიის მსროლელთა მთავარ მწვრთნელს ე. პოლიკანინს და ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა თბილისის ტურნირის შესახებ.

— ამ შეჯიბრებაში ქვეყნის ნაკრების წევრებს უნდა ეჩვენებინათ, როგორ მოემზადნენ პირველი სტარტისთვის. ამიტომ მათგან მაინცდამაინც დიდ შედეგებს არ ველოდით. მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ახლა სპორტსმენების მიზანია საუკეთესო. მაჩვენებლებს მიაღწიონ ოქტომბერში, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოს პირველობა გაიმართება. მანამდე კი ერთხელ კიდევ შევამოწმებთ ძალებს ოდესაში, სსრ კავშირის საუწყებო პირად-გუნდურ პირველობაში. მაისში გფრ-ში გამოვალთ ამ ქვეყნისა და აშშ-ს გუნდებთან ამხანაგურ მატჩში.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

* * *

სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლა. ქალები.** ლ. პალტსა — 585 ქულა, ლ. ილცევიჩი (ორივე — ლენინგრადი) — 584, ვ. გოშაძე (რსფსრ) — 584; **ვაჟები.** ვ. ტორშინი (რსფსრ) — 595, ა. სპივაკოვი — 593, ი. ბაკალოვი (ბელორუსია) — 592.

„გაქცეულ ტახზე“ სროლა. 50 ერთმაგი გასროლა. ვ. პოსტოიანოვი (რსფსრ) — 235, ი. ელეზნიაკი (უკრაინა) — 234, ი. ნიკიტინი (რსფსრ) — 232; **25 ორმაგი გასროლა.** ლ. იაკუნინი (რსფსრ) — 235, პოსტოიახოვი — 232, ვ. ვესელიოვი (უკრაინა) — 230.

პნევმატური შაშხანით სროლა. ვ. აგაშევი (რსფსრ) — 382 (სსრ კავშირის რეკორდი), ს. რაინიკოვი (უკრაინა) — 380, ნ. რასჩოტნოვი (რსფსრ) — 379. ე. აბაჯიანმა 370 ქულა მოაგროვა და საქართველოს რეკორდი დამყარა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სწრაფსროლა. ქალები. ნ. რასკაზოვა (მოსკოვი) — 572 (სსრ კავშირის რეკორდი), მ. გენერალოვა (ლენინგრადი) — 562, გოშაძე — 560; **ვაჟები.** გ. კოსიხი — 579, ე. რასკაზოვი (მოსკოვი) — 572, ნ. ნაზენფუსი (ლატვია) — 570.

1970 ფეხბურთი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● **„იმერეთი“ (თერჯოლა) — „სამცხე“ (აწყური) 0:0. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).**

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 6:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

რაინგზელებმა პირველივე წუთებიდან მწვავე იერიშებით დაიწყეს თამაში და მეტოქეს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. პირველ ტაიმში მანჯგალაძემ ორჯერ აიღო „ბახმაროს“ კარი. მდგომარეობა არ შეცვლილა შესვენების შემდეგაც. კოხრეიძემ, კოკაიამ (ორჯერ) და იმავე მანჯგალაძემ დააგვირგვინეს „ლოკომოტივის“ გამარჯვების საქმე.

● **„მესხეთი“ (ახალციხე) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

● **„მშენებელი“ (ბორჯომი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).**

● **„მზიური“ (გალი) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).**

● **„ენგური“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).**

● **„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა ჭიათურელმა წერეთელმა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევა განახორციელეს და ერთ-ერთი მათგანი დამთავრდა იმით, რომ ჭანტურიას დარტყმული ბურთი მოხვდა „მაღაროელის“ რომელიდაც მცველს და ბადეში აღმოჩნდა.

● **„გიგანტი“ (ლაითური) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

უპირატესობა თავდაპირველად ლაითურელებს ჰქონდათ, მაგრამ მას შედეგი არ მოუცია. შემდგომში „სალხინოს“ თავდამსხმელმა გეგეჭკორმა გოლით დაამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი შეტევა. „გიგანტმა“ მარცხს თავი დაღწია 11-მეტრიანი საჯარიმოს წყალობით.

II ჯგუფი

I ზონა

„მევენახე“ (ვაზისუბანი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:0, „სპარტაკი“ (რუსთავი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „მევენახე“ (ბოლნისი) 1:1, „მშენებელი“ (წალკა) — „გარისი“ (თეთრი წყაროა) 3:0, „მევარდენი“ (თბილისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „აბული“ (ახალქალაქი) 7:0. წითელწყაროს „შირაქს“ გამარჯვება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან“.

II ზონა

„მექანიკოსი“ (სამტრედია) — „ჭოროხი“ (ბათუმი) 1:3, „მერცხალი“ (ზესტაფონი) — „კოლმეურნე“ (ქედა) 0:3, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „განთიადი“ (აბაშა) 2:1, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ)— „განახლება“ (ადიგენი) 2:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:1.

საქართველოს ჯიჩვეული

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 მაისისთვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	11	7	3	1	23—10	17
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	12	6	4	2	25—9	16
„სპური“ (წალენჯიხა)	10	8	0	2	17—6	16
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	12	5	5	2	17—11	15
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	12	6	3	3	14—12	15
„სინათლე“ (თბილისი)	11	6	2	3	18—12	14
„ისანი“ (თბილისი)	11	4	6	1	11—7	14
„ეგრისი“ (ცხაკაია)	10	5	3	2	15—7	13
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	11	3	7	1	13—8	13
„სამცხე“ (აწყური)	12	3	7	2	8—9	13
„მზიური“ (გალი)	11	3	6	2	13—10	12
„ვარკეთილი“ (გარდაბანი)	12	3	6	3	11—10	12
„ცისკარი“ (სიღნაღი)	11	2	6	3	6—6	10
„ქართლი“ (გორის რაიონი)	12	2	6	4	12—17	10
„გიგანტი“ (ლაითური)	10	2	5	3	8—14	9
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	12	0	8	4	8—21	8
„იმერეთი“ (თერჯოლა)	10	1	5	4	9—12	7
ასკ (თბილისი)	10	2	3	5	7—12	7
„მშენებელი“ (ბორჯომი)	10	2	3	5	7—15	7
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	10	0	5	5	5—14	5
„ენგური“ (ზუგდიდი)	10	0	4	6	5—15	4
„მესხეთი“ (ახალციხე)	10	1	1	8	6—21	3

II ჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (რუსთავი)	5	4	1	0	10—5	9
„მევენახე“ (ვაზისუბანი)	5	4	0	1	16—8	8
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	5	2	3	0	12—7	7
„მშენებელი“ (წალკა)	5	3	1	1	9—5	7
„გარეჯი“ (საგარეჯო)	4	3	0	1	13—4	6
„დურუჯი“ (ყვარელი)	4	3	0	1	7—3	6
„შევარდენი“ (თბილისი)	4	2	1	1	5—4	5
„შირაქი“ (წითელწყარო)	5	2	1	2	3—8	5
„ვარძია“ (ასპინძა)	4	2	0	2	5—5	4
„მევენახე“ (ბოლნისი)	5	1	2	2	9—10	4
„აბული“ (ახალქალაქი)	5	1	1	3	3—9	3
„არაგვი“ (დუშეთი)	5	0	2	3	3—5	2
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	4	1	0	3	4—7	2
„ბარისი“ (თეთრი წყაროა)	5	0	1	4	4—12	1
„არაგვი“ (მცხეთა)	5	0	1	4	6—17	1

II ზონა

„კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ)	5	3	2	0	6—3	8
„ჭოროხი“ (ბათუმი)	4	3	0	1	7—3	6
„კოლხეთი“ (ხობი)	4	2	1	1	3—1	5
„დინამო“ (ქუთაისი)	4	2	1	1	2—1	5
„განთიადი“ (აბაშა)	5	2	1	2	4—5	5
„კოლმეურნე“ (ქედა)	3	2	0	1	4—1	4
„განახლება“ (ადიგენი)	4	2	0	2	3—4	4
„საირმე“ (მაიაკოვსკი)	4	2	0	2	4—5	4
„ჩიხურა“ (ხაჩხერე)	4	1	1	2	3—2	3
„ოდიში“ (ზუგდიდი)	3	1	1	1	3—4	3
„სამგურალი“ (წყალტუბო)	4	1	1	2	6—7	3
„ივერია“ (ხაშური)	3	0	2	1	1—2	2
„მერცხალი“ (ზესტაფონი)	2	0	0	2	0—3	0
„მექანიკოსი“ (სამტრედია)	3	0	0	3	2—7	0

ყველაფერი ფეხბურთზე

ამ წიგნს ვერ იპოვნით ჩვენი მაღაზიების თაროებზე. დასახელებაც კი. დონის როსტოვის გამომცემლობა „მოლოტმა“ გამოუშვა (ხელმეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა) ი. ბ. კულქინსკის წიგნი „ფეხბურთის მოყვარულის სიტყვარი“, სადაც ყველაფერია ახსნილი და განმარტებული, რაც კი ფეხბურთს შეეხება.

თქვენ იცით, რა არის თამაშის სისტემა, მაგრამ იცით საერთო ფორმებში, შეიძლება, ზეპირადაც. გადაშალეთ კულქინსკის წიგნის შესაბამისი გვერდი და ნახავთ ასეთ პუნქტს — „თამაშის სისტემა“. შემდეგ, ცალკე განმარტებებით აღწერილია „სისტემა 5 ხაზზე“, „სამი მცველის სისტემა“, „სისტემა 3-3-4“ და ა. შ. თითოეული მათგანი გაშიფრულია კვალიფიციური, მცოდნე ენით, თან ახლავს ნახაზები.

თქვენ იცნობთ თამაშის წესებს, მაგრამ იცით კი, როგორ ხდებოდა ამ წესების ცალკეული პუნქტების ევოლუცია, რომელ წელს რა წესი იქნა შემოღებული? ამასაც აქ ნახავთ.

გაინტერესებთ სსრ კავშირის ნაკრების ისტორია? წიგნში ესეც არის, გუნდის შექმნის პირველივე დღიდან 1969 წლის ჩათვლით. ნამოთვლილია ნაკრების ყველა ოფიციალური მატჩი, თარიღები, შედეგები, მისი კლასიფიკაცია ცნობილი ფრანგული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ ყოველწლიური ანკეტის მიხედვით, რომელმა ფეხბურთელმა რამდენჯერ ითამაშა და ა. შ.

რა არის „პლასირებული დარტყმა“, ალბათ ბევრმა არ იცის. სიტყვარში კი იგი ზუსტადაა განმარტებული: „ბურთის ზუსტი, დამიზნებული გადაცემა იქ, სადაც მას მოწინააღმდეგე ვერ დაეუფლება. ინგლისურად „პლეის“ ნიშნავს ადგილს, ხოლო ზმნა. „ტუ პლეის“ აღნიშნავს, რომ ბურთი ზუსტად მიზანშია გაგზავნილი.

და ასე შემდეგ. მრავალი საინტერესო რამაა აქ თავმოყრილი და სიტყვარს არსებითად ენციკლოპედიური ხასიათი აქვს. ყველაფერი, რაც ფეხბურთის მოყვარულს აინტერესებს, კონცენტრირებულია ერთად. ავტორს დიდი

შრომა გაუწევია წიგნზე მუშაობისას.

„ფეხბურთის მოყვარულის სიტყვარს“, როგორც მოგახსენეთ, ჩვენს მაღაზიებში ვერ იპოვნით. შეიძლება მისი გამოწერა. თხოვნა გაგზავნეთ ამ მისამართით: Ростов-на-Дону, Буденновский, 37.

დაბოლოს, ერთი „მცირე“ შენიშვნა: რატომ არ უნდა გამოვიდეს ანალოგიური წიგნი ქართულ ენაზე? ჩვენ ხომ თამაშის წესებიც არა გვაქვს გამოცემული! ეტყობა, დაინტერესებაა საჭირო.

რ. ქორიძე.

პ. კობახიძის სახელობის თასზე

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში დამთავრდა ტრადიციად ქცეული გუნდური შეჯიბრება გამოჩენილი ქართველი მსახიობის პ. კობახიძის სახელობის თასზე. ბრძოლაში 4 კოლექტივი მონაწილეობდა. თასის პირველმა მფლობელმა — კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გუნდმა შეჯიბრებას თავი აარიდა.

ჯილდო დაისაკუთრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მოკვადრაკეთა გუნდმა (ა. გაბილაია, ა. ურუშაძე, ი. ბურჭულაძე, ე. მუმლაძე). II ადგილი ხვდათ 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის, III — გამომცემლობა „განათლების“ მოკვადრაკეებს.

ი. თოდრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლივუდის ვარსკვლავის ახალი როლი

სპორტულ სამყაროში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ცნობამ, რომ ნავთის მრეწველ კომპანიას „გალფ ოილ კომპანის“ პროფესიონალთა ერთ-ერთ უდიდეს ავტორბოლაში — „24 საათი ლე მანში“ — გამოჰყავს ეკიპაჟი მსოფლიო ჩემპიონის, შოტლანდიელი ჯეკი სტიუარტისა და ცნობილი ამერიკელი კინომსახიობის სტივ მაკ კუინის შემადგენლობით. შეჯიბრება 13-14 ივნისს მოეწყობა. ეს მრბოლელები დასავლეთგერმანული ფირმის „პორშეს“ მანქანით გამოვლენ, ხოლო მთელი ასპარეზობა კინოფირზე იქნება აღბეჭდილი.



მაკ კუინი სტარტის წინ.

სტივ მაკ კუინი, რომელიც საბჭოთა კინომაყურებლისთვის ცნობილია ფილმიდან „შესანიშნავი შვიდეული“, დღევანდელი ჰოლივუდის ერთ-ერთი მეფე, ამერიკელი ჰიპებისა და ქალიშვილების კერპია. იგი ყოველ ფილმში მონაწილეობისთვის 750 ათას დოლარს იღებს. 40 წლის მსახიობმა ცხოვრების მკაცრი სკოლა გაიარა. იგი იყო ხელზე მოხამსახურე ბიჭიც, მხეცების მომთვინიერებელიც, გახდა მსახიობი, მაგრამ მუდამ ოცნებობდა ძრავებზე, მიმზიდველ რბოლებზე. როცა ეკრანის ვარსკვლავი გახდა, მაკ კუინმა დაიწყო მოტოციკლების, ძვირფასი სპორტული ავტომანქანების შეძენა და სეირნობით ერთობოდა, თუ შეიძლება სეირნობა ეწოდოს არაადამიანური სისწრაფით რბოლას.

კუინი ძირითადად ლოს-ანჟელესში ცხოვრობს. ხშირად იგი შუალამისას იღვიძებს და ცოლს — ყოფილ ფილიპინელ ბალერინას წინადადებას აძლევს, პალმ სპრინგში წავიდეთო, სადაც მას ერთ-ერთი ვილა აქვს. კალიფორნიის გზებზე ქროლვით გულს რომ იჯერებს, იგი იმავე სისწრაფით ბრუნდება უკან, ვილა აღარ ახსოვს. ახლა კუინს აქვს „ფერარის“, „ექსკალიბარის“, „მუსტანგ-სპორტისა“ და „იაგუარის“ მარკის ოთხი ძვირფასი ავტომანქანა, 6 მოტოციკლი და 2 სატვირთო მანქანა.

ერთ დროს ნაციზმის აკვანი მიუნჰენი ახლა კვლავ ანტიკომუნიზმის დასაყრდენად სურთ აქციონ. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობენ რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“ და „გერმანული ტალღა“, რომლებიც აშკარა პროპაგანდას ეწევიან სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მათ მხარს უჭერს „სუდეტის გერმანელთა სათვისტომოც“, რომელიც თავის რიგებში 380 ათას კაცს ითვლის. ამ აშკარად რევანშისტული კავშირის თავმჯდომარე ბეჰერი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია გდრ-ის ფილმიდან „განდევნილი პრეზიდენტი“, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს. ბეჰერის კრედო ასეთია: „ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა წაგებულ ომზე, არამედ ომზე, რომელიც ფრედ დამთავრდა“.

რევანშისტებმა თავისებურად შეაფასეს ის ფაქტი, რომ მიუნჰენი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს. მათ გადაწყვიტეს, რომ ეს კარგი საშუალება იყო პრეტენზიების გამოთქმისთვის. აი, რატომ მოჭრეს ამას წინათ მონეტა წარწერით: „გერმანიის 1972 წლის XX ოლიმპიური თამაშები“. ამ ფორმულირებამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური პროტესტი გამოიწვია, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მუდამ ენიჭება ერთ რომელიმე ქალაქს და არა სახელმწიფოს. სოკ-მა მოითხოვა, რომ ტექსტი დაუყოვნებლივ შეეცვალათ. მაგრამ ეს არ გაკეთებულა. როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „რაინიშერ მერკური“ იუწყება, მიუნჰენში მსოფლიოს ყოველი კუთხიდან უამრავი პროტესტი მოდის რევანშისტების ზემოხსენებული საქმიანობის გამო.

მრავალი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა აღშფოთებით აღიქვამს თვალს ამ ბინძურ ომს მიუნჰენში. პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება მოთხოვნები, რომ აილაგმოს დასავლეთგერმანელ რევანშისტთა გამოხდომები. მაგალითად, ვარშავის „ტრიბუნა ლიუდუ“ მიუთითებს, რომ მიუნჰენის ოლიმპიური თამაშები ზოგიერთს სურს პოლიტიკურ სარბიელად აქციოს და მოუწოდებს პროგრესულ საზოგადოებრიობას ამ მიზანთან ბრძოლისკენ. რა იქნება შემდეგ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ვიცით, მხოლოდ ის, რომ მაისის ბოლოს მიუნჰენში ატარებენ „სუდეტელი გერმანელების დღეს“ — გრანდიოზულ რევანშისტულ თავყრილობას. ბავარიის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც, სხვათაშორის, მომავალი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრიცაა, უკვე განაცხადა, რომ ამ „გერმანელების დაუჭერს მხარს ყველაფერი ეს ხდება მიუნჰენში ოლიმპიადის დაწყებამდე ორი წლით ადრე. რაღა იქნება ასპარეზობის გახსნის დღეს?

ლ. ბურნიაშოვი.

რევანშისტები და ოლიმპიადა

მიუნჰენი გაცხოველებით ემზადება XX ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელიც ამ ქალაქში 1972 წლის ზაფხულში ჩატარდება. ორგანიზატორთა აზრით, ხუთი ოლიმპიური რგოლის ემბლემით გამართული ასპარეზობა ამჯერად ევროპაში „კეთილი მეზობლობის“ განმტკიცების საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ეს სავსებით გასაგები სურვილია და მისასალმებელიც იქნებოდა, ერთი რამ რომ არ აყენებდეს ჩრდილს.

საქმე ისაა, რომ XX ოლიმპიადისთვის გამალებით ემზადებიან არა მარტო სპორტული ორგანიზაციები და ქალაქის „მამები“, არამედ რევანშისტებიც. ამ ქალაქში, როგორც ცნობილია, 80-ზე მეტი რევანშისტული ორგანიზაცია და სადაზვერვო სამსახურია თავმოყრილი, რომელთა აგრესიული საქმიანობაც პირველ ყოვლისა, სოციალისტური ბანაკისა და „ნატოს“ იტალიის წინააღმდეგაც კია მიმართული. ეს ორგანიზაციები ცდილობენ სხვიფგან მალულად გააკეთონ თავიანთი ბნელი საქმე. მიუხედავად ამისა, მათი მიზანი კარგადაა ცნობილი მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის. როგორც ჟურნალი „დოიჩლანდარხივი“ აღნიშნავს, მთავარი ამოცანაა, რომ „შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ არსებული რეჟიმის შეცვლის ტენდენციას აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე“.

პრესის ცნობები მოწმობენ, რომ რევანშისტული პროპაგანდა მიუნჰენში შესამჩნევად ძლიერდება. მაგალითად, ოლიმპიურ ქალაქში უკვე მოეწყო მუდმივი ფაშისტური გამოფენა. 72 ათასი კვ მეტრის ტერიტორიაზე გამოფენილია 75 მაკეტი არქიტექტურული ძეგლებისა, რომლებიც „პოლონელებისა და რუსების მმართველობაში მყოფ აღმოსავლურ მიწაზე მდებარეობენ“. ეს რევანშისტული გამოფენა აშკარად ისახავს მიზნად პროპაგანდა გაუწიოს დასავლეთ გერმანიის მიერ ყოფილი რაიხის ტერიტორიის დაბრუნებისთვის ბრძოლას. ჰიტლერული „დიდი გერმანიის“ განადგურებიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა, მაგრამ ნაციზმის ნაშიერები ვერასგზით ვერ დამშვიდდნენ, მათთვის აღმოსავლეთის მიწები ისევ უწინდებური ოცნების საგანია. აქ დიდი ხანია ცხოვრობენ საბჭოთა, პოლონელი და ჩეხოსლოვაკელი მოქალაქეები, მაგრამ მიუნჰენში ვერა და ვერ შეურიგდნენ საქმის რეალურ ვითარებას. და აი, არქიტექტურული მინიატურების გამოფენის თავზე გფრ-ისა და ბავარიის დროშებთან ერთად ფრიალებენ დანციგის, აღმოსავლეთ პრუსიის, პომერანიისა და სილეზიის ალმებიც. გამოფენის ორგანიზატორებს არ აღელვებთ ექსპოზიციის ანაქრონიზმი. მათ მიაჩნიათ, რომ ასეც უნდა იყოს. ისინი ფიქრობენ ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანონ „ყოველდღიური ექსკურსიები გერმანიის აღმოსავლურ მიწებზე“.

ერთ დროს ნაციზმის აკვანი მიუნჰენი ახლა კვლავ ანტიკომუნიზმის დასაყრდენად სურთ აქციონ. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობენ რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“ და „გერმანული ტალღა“, რომლებიც აშკარა პროპაგანდას ეწევიან სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მათ მხარს უჭერს „სუდეტის გერმანელთა სათვისტომოც“, რომელიც თავის რიგებში 380 ათას კაცს ითვლის. ამ აშკარად რევანშისტული კავშირის თავმჯდომარე ბეჰერი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია გდრ-ის ფილმიდან „განდევნილი პრეზიდენტი“, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს. ბეჰერის კრედო ასეთია: „ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა წაგებულ ომზე, არამედ ომზე, რომელიც ფრედ დამთავრდა“.

რევანშისტებმა თავისებურად შეაფასეს ის ფაქტი, რომ მიუნჰენი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს. მათ გადაწყვიტეს, რომ ეს კარგი საშუალება იყო პრეტენზიების გამოთქმისთვის. აი, რატომ მოჭრეს ამას წინათ მონეტა წარწერით: „გერმანიის 1972 წლის XX ოლიმპიური თამაშები“. ამ ფორმულირებამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური პროტესტი გამოიწვია, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მუდამ ენიჭება ერთ რომელიმე ქალაქს და არა სახელმწიფოს. სოკ-მა მოითხოვა, რომ ტექსტი დაუყოვნებლივ შეეცვალათ. მაგრამ ეს არ გაკეთებულა. როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „რაინიშერ მერკური“ იუწყება, მიუნჰენში მსოფლიოს ყოველი კუთხიდან უამრავი პროტესტი მოდის რევანშისტების ზემოხსენებული საქმიანობის გამო.

მრავალი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა აღშფოთებით აღიქვამს თვალს ამ ბინძურ ომს მიუნჰენში. პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება მოთხოვნები, რომ აილაგმოს დასავლეთგერმანელ რევანშისტთა გამოხდომები. მაგალითად, ვარშავის „ტრიბუნა ლიუდუ“ მიუთითებს, რომ მიუნჰენის ოლიმპიური თამაშები ზოგიერთს სურს პოლიტიკურ სარბიელად აქციოს და მოუწოდებს პროგრესულ საზოგადოებრიობას ამ მიზანთან ბრძოლისკენ. რა იქნება შემდეგ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ვიცით, მხოლოდ ის, რომ მაისის ბოლოს მიუნჰენში ატარებენ „სუდეტელი გერმანელების დღეს“ — გრანდიოზულ რევანშისტულ თავყრილობას. ბავარიის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც, სხვათაშორის, მომავალი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრიცაა, უკვე განაცხადა, რომ ამ „გერმანელებს დაუჭერს მხარს ყველაფერი ეს ხდება მიუნჰენში ოლიმპიადის დაწყებამდე ორი წლით ადრე. რაღა იქნება ასპარეზობის გახსნის დღეს?

ლ. ბურნიაშოვი.



სტივ მაკ კუინი.

● ●

რჩებოდნენ, მაგრამ რბოლის დასკვნით ნაწილში რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვეს. ისინი მხოლოდ 23 წამით ჩამორჩნენ ამერიკელ გ. ანდრეტის და იტალიელ ნ. ვაკარელის, რომლებმაც „ფერარით“ 247 წრე საათში საშუალოდ 178 კმ სიჩქარით დაფარეს. III ადგილზე გასული ამერიკელი მ. გრეგორი და ჰოლანდიელი ტ. ეზემანი („ალფა-რომეო“) ერთი წრით უკან იყვნენ.

მაშ ასე, მაკ კუინმა პირველი სერიოზული გამოცდა წარმატებით ჩაიარა. წინაა ძნელი სტარტი სეზონის უდიდეს ავტორბოლაში.

• КОРДА • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABДARUGAS •

ლოგელო ნაწყენია

6 მაისს მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი. ერთმანეთს ხვდებიან „სელტიკი“ (შოტლანდია) და „ფეიენორდი“ (ჰოლანდია). ამ მატჩის მსაჯობა უეფა-მ დაავალა ცნობილ საერთაშორისო არბიტრს კ. ლობელოს (იტალია).

როგორც ლობელომ განაცხადა, ეს ფინალური მატჩი უკანასკნელი იქნება მის პრაქტიკაში. იგი ძალიან ნაწყენია, რომ ფიფა-ს ხელმძღვანელობამ არ შეიყვანა ამ მსაჯთა სიაში, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურებიან.

● ●

დოპინგის გამო

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ დადგინა ნაკრებისა და „პენიაროლის“ ორ თავდამსხმელს, მექსიკაში გამგზავრების კანდიდატებს — კორტესსა და კაეტანოს 3-3 თვით აეკრძალოთ თამაში. ამ გადაწყვეტილების მიზეზია ორივე თავდამსხმელის მიერ აღმგზნები საშუალებათა გამოყენება.

ფედერაციამ ფულადი თანხით დააჯარიმა „პენიაროლის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც ვერ უზრუნველყო მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის კანდიდატთა წესიერად მომზადება.

დი სტეფანო გადადგა

როგორც ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, ა. დი სტეფანო გადადგა „ბოკა ხუნიორსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. ეს სრულიად მოულოდნელი იყო, ვინაიდან ბოლო სეზონში ამ გუნდმა არგენტინის ჩემპიონობა მოიპოვა, დი სტეფანომ კი სპეციალისტთა დიდი ქება დიმსახურა.

დი სტეფანოს ამ ნაბიჯს იმით ხსნიან, რომ მისმა მეუღლემ კატეგორიულად მოითხოვა მადრიდში დაბრუნება, სადაც გამოჩენილ ფეხბურთელს 5 შვილი ჰყავს.

● ●

აკრძალვის მიუხედავად

გამოჩენილმა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ი. კრუიფმა („აიაქსი“) ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ესპანეთის „ბარსელონასთან“. ეს ფეხბურთელი „ბარსელონასთვის“ მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა, მაგრამ... გუნდს ნება არა აქვს ათამაშოს უცხოელი ეროვნულ ჩემპიონატში!

ასეა თუ ისე, კრუიფი მაინც გადადის ესპანეთში. ჯერჯერობით იგი მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში და ამხანაგურ მატჩებში, რომლებსაც „ბარსელონა“ ხშირად მართავს.



◆ **კატოვიცე**, 5 მაისი. პოლონეთის ამ ქალაქის ქუჩებში გამართულ რბოლაში მონაწილეობა მიიღეს მშვიდობის წლევანდელი ველორბოლის საბჭოთა კანდიდატებმა, ბერლინის „დინამოს“ (გდრ), გრადეც-კრალოვეს „რუდა გვეზდას“ (ჩეხოსლოვაკია), კოპენჰაგენის „კორის“ (დანია) და პოლონეთის ველოსიპედისტებმა. ყველას აჯობა პოლონელმა ი. ბოცკოვსკიმ, ამ კელეცელმა სპორტსმენმა საშუალედო ფინიშებზე 30 ქულა მოაგროვა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ომსკელი ვ. სოკოლოვი — მან VII ადგილი დაიკავა. VIII ადგილზეა ალმაათელი ვ. კუხარსკი.

◆ **ნეაპოლი**, 5 მაისი. წყალბურთელთა ეროვნული გუნდების აქ გამართული ტრადიციული სამაისო ტურნირი უნგრელების გამარჯვებით დამთავრდა, რომლებმაც 5 ქულა მოაგროვეს 6-დან. II ადგილზე გავიდნენ იტალიელები — 4 ქულა. შეჯიბრების მასპინძლებმა ქულით გაუსწრეს მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონებს იუგოსლაველ წყალბურთელებს. რუმინეთის ნაკრებმა ყველა შეხვედრა წააგო.

◆ **ზაბრეგი**, 5 მაისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გადადებული პარტიების გათამაშებისას დაზავდნენ პეტროსიანი — ჰორტი, უდოვჩიჩი — პარმა. ულმანმა მოუგო გიცესკუს. ბრაუნ — ფიშერის პარტია მეორედ გადაიდო. თეთრებს ზედმეტი ხარისხი აქვთ. ბოლოსწინა ტურში სმისლოვმა ხძლია ულმანს, პეტროსიანმა — ბრაუნს, ჰორტმა — ნიჩევსკის. ივკოვ — გლიგორიჩისა და კურაიცა — მაროვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ფიშერს 11,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ჰორტს, სმისლოვს — 10,5-10,5, გლიგორიჩს, პეტროსიანს — 10-10, კორჩნოის — 9,5.

ფეხბურთელ ქალთა საერთაშორისო ფედერაცია

ქალები უკვე ბევრ ქვეყანაში თამაშობენ ფეხბურთს. არსებობს რამდენიმე ეროვნული ფედერაცია, ეწყობა საერთაშორისო შეხვედრები.

ამას წინათ დაარსდა ფეხბურთელ ქალთა საერთაშორისო ფედერაცია. მისი პირველი წევრები გახდნენ იტალია, ინგლისი, პოლონეთი, საბერძნეთი და ტუნისი. მართალია, ეს ქალთა სპორტული ორგანიზაციაა, მაგრამ პრეზიდენტად მაინც მამაკაცი აირჩიეს — იტალიელი ვინჩიო ლუჩი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



რეგბი. „ისნის“ სტადიონი. **6-12 მაისი. საქართველოს პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. ასკ-ს სტადიონი. **7 მაისი. საქართველოს პირველობა.** ასკ (თბილისი) — „ისანი“ (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

სასტენდო სროლა. ვარკეთილის სასროლეთი. **8-10 მაისი. საქართველოს იუნიორთა პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

მშვილდოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **9-10 მაისი. საქართველოს ჩემპიონატი.** დასაწყისი 10 ს.

საქართველოს ჰიდაობის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი იუწყებიან სპორტის ოსტატ

ნუკრი გერონტის ძე ერემეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 6 მაისს, 19 ს. დაკრძალვა 7 მაისს, 16 ს. ჩეხოვის ქ. № 5.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04255